cerberus

C-C-E-H Hydro VI LLC
შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI
2 Leonidze St, 2F
Tbilisi, Georgia 0105
+995 32 2244990 | +995 32 2244991 (f)
cerberus.com

11 დეკემბერი, 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ქალბატონ ნინო თანდილაშვილის 2020 წლის N10946/01 წერილის საფუძველზე, შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი ბახვი 1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშში, კერძოდ: შეიცვლა ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა და ძალური კვანძის სამშენებლო მოედანთან მისასვლელი გზის დერეფანი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ბახვი 1 ჰესის ნაგებობების განთავსება დაგეგმილია საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით დადგენილ ნიშნულებზე, ბახვი 2 ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების გასწორის ზედა დინებაში. ბახვი 2 ჰესის სათავე ნაგებობის და ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიების შეიფ ფაილების ურთიერთგადაფარვა გამოწვეული იყო შპს „ბახვი 2"-ს მიერ სათავე ნაგებობისათვის აღებული გაზრდილი ფართობით. დღეისათვის შპს „ბახვი 2"-ის მიერ ბახვი 2 ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიების საზღვრები კორექტირებულია ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით და ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძი არ არის მოქცეული ბახვი 2 ჰესის სათავე ნაგებობის საპროექტო ტერიტორიაზე.

ბახვი 2 ჰესის საპროექტო ტერიტორიების საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით შპს „ბახვი 2"-მა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართა მიმდინარე წლის 9 დეკემბერს, N1/21 წერილის საფუძველზე.

წარმოგიდგენთ, ბახვი 1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის კორექტირებულ ვერსიას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ბახვი 1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები შეიფ ფაილების სახით CD დისკზე.

პატივისცემით,

მიხეილ ნიბლაძე

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 19426
"11" 12 2020
1/Ch
+ 02 +